



**იურიდიული დახმარების საბჭო**

N-96

27 დეკემბერი, 2021 წელი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის საშტატო ნუსხისა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი თანხის ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ**

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად,

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის საშტატო ნუსხისა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი თანხის ზღვრული ოდენობა დანართის N1-ის შესაბამისად, მასში წარმოდგენილი სტრუქტურით, საშტატო რიცხოვნობით, თანამდებობებითა და თანამდებობრივი სარგოებით.
2. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

**იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე:**

ირაკლი გვარამაძე

**საბჭოს წევრები:**

რამაზ ჩინჩალაძე

სოფო ჩაჩავა

თეა ჭეიშვილი

თამარ გვარამაძე

პავლე აბაიძე

მაკა რევია

განაცხევა  
ხელმოწერა